

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა
და სოციალურ საკითხთა კომისია

ოქმი № 04

ქ.აბაშა უჩა კაჭარავას #1

27 მარტი 2018 წელი.

სხდომას ესწრებოდა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. კონსტანტინე კუჭუხიძე - აბაშის მუნიციპალიტეტის განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
2. კობტა მელია - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
3. ლეონტი ნადარეიშვილი - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
4. გიორგი კაჭარავა - აბაშის მუნიციპალიტეტის განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
5. ბაჩუკი ქვილითაია- აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი

დღის წესრიგი:

მომხსენებელმა, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, კონსტანტინე კუჭუხიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1. *აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.*
2. *აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.*

კ. კუჭუხიძე

მომხსენებელი:

კონსტანტინე კუჭუხიძე

(აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.) :

1. მომხს. კ. კუჭუხიძემ წარმოადგინა აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით, ორგანიზებით, ა(ა)იპი-ებთან: კულტურის ცენტრთან, ხელოვნების სკოლასთან, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებასთან, სპორტის განვითარების ცენტრთან, საფეხბურთო კლუბ „ზანასთან“ საგანმანათლებლო რესურსცენტრთან ურთიერთ თანამშრომლობით საინტერესო პროექტები განხორციელდა, მომზადდა და ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიება. ჩვენი სამსახურის ინიციატივით მიმდინარე წლის მაისში განხორციელდა პროექტი „კიდევაც დაიზრდებიან...“ (მაისი). პროექტი ითვალისწინებდა „ყველაზე ჭკვიანი“ მოსწავლეების გამოვლენას სამ ნომინაციაში: ინტელექტუალური, წერიტი და კალიგრაფისტთა კონკურსები (გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები წიგნების სახით).

დეკანოზი კონსტანტინე (კაჭარავა) და საინიციატივო ჯგუფი გახდნენ თაოსანნი „გულიერობის“ გამართვისა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან მხარდაჭერამ და სოფლის მცხოვრებთა ერთსულოვნებამ სურვილი სინამდვილედ აქცია და 12 აგვისტოს სოფელ კეთილარში, გულეიკარში, პირველად მრავალი ათეული წლის შემდეგ გაიმართა წმინდა გიორგის ტრადიციული დღესასწაული „გულიერობა“.

ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ასოციაცია „სინერამას“ (დირექტორი ზ. დოლიძე) მიერ ჩვენს მუნიციპალიტეტში საინტერესო, უპრეცედენტო პროექტი ხორციელდება. პირველი საჯარო სკოლის ბაზაზე ორი კვირის განმავლობაში ფუნქციონირებს საზაფხულო-საყმაწვილო კინოსკოლა. კინოფესტივალზე ნაჩვენები იქნა 36 ქვეყნის 180 მოკლემეტრაჟიანი ფილმი. აბაშას სტუმრობდნენ აზერბაიჯანის, ბულგარეთის, პოლონეთის, ლიტვის, მოლდავეთის დელეგაციები, წარმომადგენლები სხვადასხვა კუთხიდან. კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ხელშეწყობისა და საუკუნეების განმავლობაში

შექმნილი კულტურული ფასეულობების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნების მიზნით ხორციელდება კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის დღეები“. „კულტურულ მემკვიდრეობის დღეების“ ფარგლებში დასუფთავდა ტყვირის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის ეზო, პროექტის მონაწილეები გაეცნენ სეფიეთის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის უძველესი ფრესკების წინაშე არსებულ პრობლემებს.

კულტურის ცენტრთან ერთად ფესტივალის „ლეგენდა მარტვილზე“ ფარგლებში აბაშა, როგორც ერთ-ერთი თანაორგანიზატორი მასპინძლობდა ფოლკლორულ ანსამბლებსა და ჯგუფებს ბულგარეთიდან, რუსეთიდან, ლიტვიდან, ართვინიდან (თურქეთიდან). სამსახურმა უზრუნველყო სტუმრებისა და აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ფოლკლორული კოლექტივების ერთობლივი კონცერტის ჩატარება.

სამსახურის მხარდაჭერითა და პატრონაჟით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ ინიცირებული პროექტი „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-2017“, მოზარდები სპორტის სხვადასხვა სახეობებში (გეზრბენი, მინი-ფეხბურთი, 3X3 კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი) ასპარეზობდნენ. მუნიციპალურ თამაშებში გამარჯვებულმა გუნდმა რეგიონალურ ტურშიც წარმატებით იასპარეზეს.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს (21 მარტი) აღსანიშნავად გამოცხადდა შემოქმედებითი (ლიტერატურული, ფოტო, ნახატების) კონკურსი „ჩვენ მზის შვილები ვართ“. კონკურსის მიზანი იყო საზოგადოებაში დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

14 ივნისს საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე აღინიშნება. ეს არის დღე, რომელიც კიდევ ერთხელ გვახსენებს ჩვენს გვერდით, მყოფი ადამიანების პრობლემებს და მათთვის თანაბარი შესაძლებლობის შექმნის აუცილებლობას.

3 დეკემბერს შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეც აღვნიშნეთ. მოეწყო დისკუსია თემაზე „შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია“.

სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის კოორდინაციის ფარგლებში განხორციელდა საბავშვო ბაღების ადმინისტრირებისა და სააღმზრდელო პროცესების მონიტორინგი.

2. მომხს. კ. კუჭუხიძემ წარმოადგინა აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე 2017 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო გაწვევასთან დაკავშირებით გარკვეული მუშაობა იქნა ჩატარებული. 2017 წლის თებერვალი-ივნისის ჩათვლით გამწვევ კომისიაზე გამოცხადდა 91 წვევამდელი, აქედან შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში სამედიცინო კომისიაზე წაყვანილ იქნა 35 წვევამდელი. 2017 წლის აპრილის თვეში მომზადდა და გაიგზავნა 2000 წელს დაბადებულ ჭაბუკთა პირველადი სამხედრო აღრიცხვის ანგარიში, აღრიცხვაზე აყვანილია 119 ჭაბუკი. 2017 წლის 14 ივლისს მომზადდა და გაიგზავნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში 2017 წლის საგაზაფხულო გაწვევის ანგარიში. 2017 წლის აგვისტო-დეკემბრის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში გამწვევ კომისიაზე გამოცხადდა 118 წვევამდელი, შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში სამედიცინო კომისიაზე წაყვანილ იქნა 48 წვევამდელი, ჩაირიცხა 27 წვევამდელი, შეზღუდულად ვარგისი იქნა 21 წვევამდელი, 60 წვევამდელს მიეცა გადავადება საქართველოს კანონის სხვადასხვა მუხლების საფუძველზე.

აგრეთვე ყოველდღე მიმდინარეობს სავალდებულო სამსახურიდან დათხოვნილ სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვაზე აყვანა და მათზე დროებითი სამხედრო მოწოდების გაცემა.

აზრი გამოთქვეს: ლეონტი ნადარეიშვილმა, ბაჩუკი ქვილითაიამ, გიორგი კაჭარავამ.

დაადგინეს : ზემოთაღნიშნული სამსახურების ანგარიში შეფასდეს დადებითად და საკრებულოს ბიუროს ეთხოვოს აღნიშნული საკითხები შეიტანოს საკრებულოსა და ბიუროს უახლესი სხდომის დღის წესრიგში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24 მუხლის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 03/562 და 03/5699 წერილის საფუძველზე, აბაშის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა აღნიშნული განკარგულების პროექტი, ჩათვალია რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი დამაკმაყოფილებელია და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

აბაშის მუნიციპალიტეტის განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 5 დეპუტატი;

წინააღმდეგი - არც ერთი დეპუტატი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

/ვ. კუჭუხიძე/

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

დასკვნა #04

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-
კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდული საქმეთა
სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ქ. აბაშა უჩა კაჭარავას # 1

27 მარტი 2018 წ

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ
საკითხთა კომისიამ:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
24 მუხლის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი განკარგულების პროექტი
სრულად შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, ასევე დაცულია დოკუმენტაციის
წარმოდგენის საპროცედურო ნორმები და ვადები.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ
საკითხთა კომისიამ დაავალა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების,
კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს კონსტანტინე
კუჭუხიძეს აღნიშნულის შესახებ აცნობოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ მამუკა კვიციანი და აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს აღნიშნული პროექტის აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გასატანად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე:

/კ.კუჭუხიძე/

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა
და სოციალურ საკითხთა კომისიის

დასკვნა #05

*აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და
მობილიზაციის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.*

ქ. აბაშა უჩა კაჭარავას # 1

27 მარტი 2018 წ

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ
საკითხთა კომისიამ:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
24 მუხლის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი განკარგულების პროექტი
სრულად შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, ასევე დაცულია დოკუმენტაციის
წარმოდგენის საპროცედურო ნორმები და ვადები.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ
საკითხთა კომისიამ დაავალა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების,
კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს კონსტანტინე
კუჭუხიძეს აღნიშნულის შესახებ აცნობოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ მამუკა კვიციანიას და აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს აღნიშნული პროექტის აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გასატანად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე: კ.კუჭუხიძე